



შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“
„Maritime Teaching Training Centre Equator“, LTD

„ვამტკიცებ“

შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის მ.შ.

_____ ა.მგელაძე

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ.შ.
2020 წლის 30 ივნისის N10 ბრძანებით

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების
ინსტრუქცია

ნდ №2-03-02 ქ

ბათუმი
2020



სარჩევი


თავი I. ზოგადი დებულებები	3
მუხლი 1. რეგულირების სფერო.....	3
თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია.....	4
მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა	4
მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტში ინფორმაციის ასახვა	5
მუხლი 4. მოდულის ადაპტირება	7
მუხლი 5. სასწავლო გეგმის შედგენა.....	9
მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა	10
მუხლი 7. პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი	12
მუხლი 8. ინვენტარი, აღჭურვილობა	13
მუხლი 9. პარტნიორებთან ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ან/და ხელშეკრულებები	13
მუხლი 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი.....	15
თავი III. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები	19
მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესი	19
მუხლი 12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი.....	20
მუხლი 13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წესი.....	21



თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ (შემდგომში „კოლეჯი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიას, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესს, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესებს.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას და ეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების დარგის სპეციალისტის/პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების კვლევის ანალიზს.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება ხდება დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესების ციკლის შესაბამისად





თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვ.
2. ახალი პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით - „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე.
3. პროგრამის დამატების ინიცირებას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და საავტორიზაციოდ/საკრედიტაციოდ მომზადების მიზნით, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას.
5. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედის: ხარისხის მართვის მენეჯერი, დარგის სპეციალისტები, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, შესაძლებელია, ჯგუფში შედიოდეს დამსაქმებელი, მოწვეული ექსპერტი და სხვა.
6. სამუშაო ჯგუფი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში მიზანშეწონილობასთან ერთად ეფუძნება სასწავლო რესურსების მატერიალურ-ტექნიკური, პრაქტიკის ობიექტების, საბიბლიოთეკო, ადამიანური, ფინანსური რესურსებისა და შესაბამისი მიმართულების სხვა მონაცემებს.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური/დუალური) შემუშავების საფუძველია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტი. შესაძლოა, პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტთან ერთად ითვალისწინებდეს სხვა სამართლებრივ აქტს.
8. კოლეჯმა მიზანშეწონილობის დასაბუთებით შესაძლოა შეიმუშავოს ორი სახის საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური/დუალური), რომელთაგან ერთი (დუალური) განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.



9. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძირითად დოკუმენტს (ადაპტირებული ჩარჩო დოკუმენტი) და მის დანართებს;
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფი პროგრამის მთლიან პაკეტს (ძირითადი დოკუმენტი და დანართები) წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
11. კოლეჯის დირექტორი განიხილავს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მასალებს და შესაბამისი რეკომენდაციებითა და შენიშვნებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უბრუნებს ხარისხის მართვის მენეჯერს შემდგომი რეაგირებისთვის.
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
13. პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა - განისაზღვრება კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტში ინფორმაციის ასახვა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტი ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების შემდგომ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

ა) პროგრამის დასახელებას, რომელიც ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას. ის შესაძლოა განსხვავდებოდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან, თუმცა არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი და არ უჩენდეს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან ან სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით. პროგრამის სახელწოდება შესაძლოა იყოს როგორც დასაქმების პოზიცია, ასევე საქმიანობის ან სწავლების სფერო;

ბ) ჩარჩო დოკუმენტის დასახელებასა და სარეგისტრაციო ნომერს, რომლის საფუძველზეც შემუშავდა პროგრამა;

გ) კურსდამთავრებულისთვის მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

დ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, რომელიც ეყრდნობა ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაძლოა ეს იყოს განათლების დონე (საბაზო/სრული ზოგადი) და პროფესიის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა დამატებითი მოთხოვნები;

ე) ინფორმაციას პროგრამის მიზნების, დასაქმების შესაძლებლობების, კურსდამთავრებულთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგებისა და მათი კარიერული შესაძლებლობების შესახებ;

ვ) პროგრამის სტრუქტურას, რომელიც მოიცავს მოდულებს;

ზ) ინფორმაციას პროგრამის ხანგრძლივობისა და მოცულობის (კრედიტები) შესახებ ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის ცალ-ცალკე. იმ შემთხვევაში თუ პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების კომპონენტები, მაშინ პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა (კრედიტები) განისაზღვრება დამატებით საბაზო



განათლების საფუძველზე ჩარიცხული არაქართულენოვანი და ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის ცალ-ცალკე;

თ) ინფორმაციას სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების, მათ შორის მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომების გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ;

ი) პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობებს;

კ) ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების უზრუნველსაყოფად.

3. კოლეჯის მიერ შემუშავებული ორივე ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტს (ადაპტირებული ჩარჩო დოკუმენტი) თან ახლავს შემდეგი დანართები:

ა) მოდულები;

ბ) სასწავლო გეგმა, მათ შორის ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის გაწერილი, ხოლო დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში სასწავლო გეგმასთან ერთად პროგრამას თან ერთვის საწარმოსა და კოლეჯს შორის სწავლის შედეგების მიღწევის გადანაწილების სქემა;

გ) ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;

დ) ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი კოლეჯის ბაზაზე არსებული ან/და მემორანდუმის საფუძველზე პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკული კომპონენტების გავლის მიზნით ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსის შესახებ;

ე) პრაქტიკის ობიექტებთან/პარტნიორ ორგანიზაციებთან ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება.

4. მესამე დონის არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის სავალდებულოა ქართული ენა A2 მოდულის გავლა.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აუცილებლად მოიცავს სავალდებულო ზოგად და პროფესიულ მოდულებს. მათი შეცვლის უფლება კოლეჯს არ გააჩნია.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არა უმეტეს 20%-ისა.

7. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი მოდულები და შეარჩიოს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ, ეს შეიძლება იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული. კოლეჯს შეუძლია საერთოდ არ



გათვალისწინოს არჩევითი მოდულები, თუ ჩარჩო დოკუმენტი არ ითხოვს მის აუცილებლად გათვალისწინებას.

8. არჩევითი მოდული ისე უნდა შეირჩეს, რომ მან განავრცოს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნა და უნარები სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნას დამატებით ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობა ან მოიცვას ისეთი ახალი ასპექტები, რომელიც მოცემულ პროფესიულ სფეროს სხვა სფეროს უკავშირებს; უზრუნველყოს დამატებითი ცოდნისა და უნარების შექმნა მომიჯნავე სპეციალიზაციაში ან მოიცვას დამატებითი ტრანსფერული საკვანძო უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია შემდგომი პროფესიული განვითარების, დასაქმებისა (პერსპექტივების გაზრდისთვის) თუ თვითდასაქმებისათვის.

9. არჩევით მოდულებად დასაშვებია პროგრამის დონისაგან განსხვავებული დონის მოდულების გამოყენება. მაღალი დონის პროგრამებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაბალი დონის არჩევითი მოდულები. ხოლო დაბალი დონის პროგრამებში – მაღალი დონის მოდულები, თუ დაშვების წინაპირობები (წინმსწრები განათლება ან სხვა მოდული) უზრუნველყოფილია.

10. იმ შემთხვევაში, თუ მოდულის შერჩევა სადაო ხდება პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის, აუცილებლად უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი და მიღებულ იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება.

11. ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა. თუ პროგრამა სპეციალობის სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა იყოს.

12. ქართული ენის მოდულები წარმოადგენს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ აუცილებელ ნაწილს. ქართული ენის მოდულები შექმნილია არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის და საშუალებას იძლევა, გაიზარდოს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა. ქართული ენის მოდულებს პირი გადის იმ შემთხვევაში, თუ ის ერთიან პროფესიულ ტესტირებას აბარებს არა ქართულ, კერძოდ: სომხურ, რუსულ, აზერბაიჯანულ ენებზე. არაქართულად ტესტირებაგავლილი აპლიკანტის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემდეგ, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის ქართული ენის მოდულების გავლას კურაციული წესით, ხოლო შემდეგ, სპეციალობის მოდულების განხორციელებას. შემუშავებულ სასწავლო გეგმას ცალკე პუნქტად ერთვის ქართული ენის მოდულები. ქართული ენა A2 III დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის.

მუხლი 4. მოდულის ადაპტირება

1. ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების შემდეგ უნდა განხორციელდეს მასში შემავალი თითოეული მოდულის ადაპტირებაც.



2. მოდული წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის შემადგენელ კომპონენტს და მტკიცდება მასთან ერთად. მოდულში ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება აქტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის შესაბამის დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. როგორც პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ასევე მოდულებს სავალდებულოა გაუკეთდეს თავფურცელი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N--), შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მოდულის სტატუსი, მოდულის განხორციელების წელი) და მიეთითოს პროგრამის ძირითადი დოკუმენტის დანართებად.
4. მოდულები შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.
5. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება დაუშვებელია.
6. სტანდარტულ ჩანაწერებში შეუსაბამოებების აღმოჩენის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს.
7. დამხმარე ჩანაწერები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სასწავლო თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდები, მტკიცებულებების შეგროვებისა და მოდულის განხორციელების მიდგომები, საათების გადანაწილების სქემა.
8. საათების განაწილების სქემაში კოლეჯს შეუძლია ასახოს თავისი მიდგომები. თუმცა, კოლეჯის მიერ განსაზღვრულ საათების გადანაწილების სქემაში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება საბოლოო ჯამში უნდა დარჩეს, ისე, როგორც მოდულშია.
9. მოდულში შესაძლებელია მიეთითოს მისი განხორციელების ადგილი ან ადგილები, აუდიტორია. კოლეჯში განხორციელების შემთხვევაში - კოლეჯის დასახელება, მისამართი, აუდიტორიის ნომერი, გარემო (A, B, C), ხოლო საწარმოში განხორციელების შემთხვევაში - პარტნიორი ორგანიზაციის დასახელება და მისამართი.
10. არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეში იქნეს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და B ან B და C ან A და C გარემო.
11. საგანმანათლებლო რესურსი უნდა შეირჩეს კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ქაღალდების/ელექტრონული მატარებლების, არსებული ლიტერატურის, კონსპექტების, ვებ-გვერდებისა და სხვა წყაროების გათვალისწინებით, რასაც კოლეჯი გამოიყენებს სწავლების პროცესში და რომლებიც პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება ხელმისაწვდომი.



12. მოდული უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების(სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების, კერძოდ საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის.

მუხლი 5. სასწავლო გეგმის შედგენა.

1. ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირების შემდეგ, კოლეჯმა უნდა შეიმუშაოს სასწავლო გეგმა.
2. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.
3. სასწავლო გეგმა თავის თავში მოიცავს სასწავლო გეგმას „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოდულების გარეშე და სასწავლო გეგმას „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოდულებისათვის.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე. შესაბამისად შეიცვლება სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაც.
5. როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა.
6. კვირაში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, თუმცა პროგრამის/მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით კვირეული დატვირთვა შესაძლებელია იყოს 30-ზე ნაკლები. ასევე დუალური პრინციპით სწავლებისას, შესაძლოა მხედველობაში იქნეს მიღებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის N329 დადგენილება „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“, რომლითაც პროფესიული განათლება ასეთ დარგს მიეკუთვნება. მოდულში მოცემული საათები (1 კრედიტი უდრის 25 საათს) წარმოადგენს სტუდენტის დატვირთვას.



7. დუალურ პროგრამებში კრედიტი ენიჭება სწავლის შედეგს და სწავლის შედეგების კრედიტების ჯამი წარმოადგენს მოდულის კრედიტს. სწავლის შედეგების გაყოფა ხდება კოლეჯსა და საწარმოს შორის. შენარჩუნებულია სწავლის შედეგის მისაღწევად საათების განაწილების სქემა, თუმცა მხოლოდ სასწავლებლის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგებისათვის. საწარმოში მიღწეული სწავლის შედეგისათვის პირს მიენიჭება სწავლის შედეგისათვის განსაზღვრული კრედიტი, მიუხედავად ამ სწავლის შედეგის მისაღწევად დახარჯული დროისა.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა

1. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.

2. კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/სასწავლო კურსს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.



5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/სასწავლო კურსის მოთხოვნებთან მიმართებით.
6. სწავლის დაწყებიდან მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს ხარისხის მართვის მენეჯერს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სასწავლო საჭიროებ (ებ)ის შესახებ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად.
7. პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების თხოვნით მიმართავს კოლეჯის დირექტორს და წარუდგენს სათანადო დოკუმენტაციას.
8. პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, პროფესიული სტუდენტის ჩართულობით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის მართვის მენეჯერის თანამონაწილეობით.
9. ხარისხის მართვის მენეჯერი ამზადებს დასკვნას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს.
10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.
11. ადაპტირებული, ანუ ინდივიდუალური სასწავლო მოდულით/ სასწავლო კურსით/ პროგრამით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის სწავლებისას პროფესიული განათლების მასწავლებელი ორიენტირებული უნდა იყოს მოდულის/პროგრამის ფარგლებში სტანდარტულად განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და შესრულების კრიტერიუმებზე. ის მიზნად უნდა ისახავდეს არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის მაქსიმალურ მიახლოებას კომპეტენციისთვის დადგენილ ზღვართან, არამედ მის გადალახვას. მოდულით/პროგრამით განსაზღვრული სასწავლო შედეგის/შედეგების მისაღწევად პროფესიული განათლების მასწავლებელი უნდა განსაზღვრავდეს უახლოეს, დასაძლევად შესაძლებელ ნაბიჯებს (ქვემიზნებს ან მოკლევადიან ინდივიდუალურ მიზნებს), რომლებიც სასწავლო შედეგის შემადგენელ ერთეულს წარმოადგენს და მას პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება.
12. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; პროფესიული სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს



საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

მუხლი 7. პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მფლობელი პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში და აქვს შესაბამისი დარგობრივი პროფილით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი და/ან პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება.
2. სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის კოლეჯს ყავს სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შერჩეული შესაბამისი ოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებელი.
3. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
4. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.
5. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.
6. პროფესიული განათლების მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღება შეიძლება განხორციელდეს, ასევე, კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესს და პირობებს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი.
8. პროგრამის დამტკიცებამდე კოლეჯსა და მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან ფორმდება წინარე ხელშეკრულება - ე.წ. დასაქმების კანდიდატის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის პროგრამის ავტორიზაციის შემდგომ საჭიროების შესაბამისად.
9. დასაქმების კანდიდატის ხელშეკრულებაში არ არის აუცილებელი მიეთითოს ანაზღაურების ოდენობა.
10. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მფლობელი პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში და აქვს შესაბამისი დარგობრივი პროფილით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი და/ან პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება.
12. პროგრამის ხელმძღვანელი:



- ა) მონაწილეობს პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირებაში;
- ბ) ზრუნავს პროგრამის შინაარსზე და მის ადეკვატურ განხორციელებაზე;
- გ) ზრუნავს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე;
- დ) ჩართულია დამსაქმებლებისა და პრაქტიკის ობიექტების მოძიების პროცესში;
- ე) ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში;
- ვ) ჩართულია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში;
- ზ) კოორდინაციას უწევს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის (საწარმოო პრაქტიკა) განხორციელების პროცესს.

მუხლი 8. ინვენტარი, აღჭურვილობა

1. A და B გარემოს ინვენტარი, აღჭურვილობა და მასალა/ნედლეული იდენტურია ყველა მოდულისა და ყველა პროგრამისათვის, ხოლო C გარემოსათვის განსაზღვრული ინვენტარი, აღჭურვილობა და მასალა/ნედლეული ინდივიდუალური თითოეული მოდულისათვის. პროგრამა მოიცავს კოლეჯის ბაზაზე პროგრამის განხორციელებისთვის არსებული ან/და მემორანდუმის საფუძველზე პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკული კომპონენტების გავლის მიზნით ხელმისაწვდომ მატერიალური რესურსის შესახებ ჩამონათვალს, რომელიც შედგენილია ჩარჩო დოკუმენტის დანართის საფუძველზე.
2. შესამუშავებელი პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელ აღჭურვილობასა და გარემოს კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის საბოლოო ფორმირებამდე, კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს წინაშე დასამტკიცებლად წარდგენამდე, ხოლო მასალა და ნედლეული შექმნილი უნდა იქნეს საჭიროებისამებრ, პროგრამის ავტორიზაციის შემდგომ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად.

მუხლი 9. პარტნიორებთან ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ან/და ხელშეკრულებები

1. პროგრამის ნებისმიერი მიდგომით განხორციელების შემთხვევაში კოლეჯმა სასურველია დადოს ხელშეკრულება :

ა) პარტნიორ ორგანიზაციასთან, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტების გავლას;

ბ) პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში (პროგრამის გაუქმების ან სხვა) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მობილობას იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის



შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ „Maritime Teaching Training Centre Equator“, LTD

ფარგლებში. ამასთან მსგავსი ხელშეკრულების გაფორმება სასურველია ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

2. იმ შემთხვევაში თუ მსგავს პროფესიულ პროგრამას არ ახორციელებს არც ერთი საგანმანათლებლო დაწესებულება, მაშინ კოლეჯმა ნებისმიერ შემთხვევაში შიდა სამართლებრივი აქტის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო პროცესი.

3. იმ შემთხვევაში თუ ვერ ხდება პარტიორი ორგანიზაციის მოძიება პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაშინ კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესი ყველა აუცილებელი პრაქტიკული კომპონენტით .

4. პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას საწარმოსთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

ა) კოლეჯი საწარმოსთან ერთად შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სასწავლო გეგმას. ამ პროცესში, საწარმოსთან ერთად განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა და შეფასებაც უნდა განხორციელდეს საწარმოში, მათი ხანგრძლივობა და განხორციელების პერიოდი;

ბ) ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნის პირობები და ა.შ.

გ) კოლეჯმა საწარმოსთან ერთად უნდა უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა შერჩევის პროცედურების განხორციელება დადგენილი წესით;

დ) საწარმო ვალდებულია პროფესიულ სტუდენტთა სწავლების განხორციელებისათვის გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი/ინსტრუქტორი, რომელიც უზრუნველყოფს მათ სწავლებას, საწარმო პროცესში მონაწილეობასა და მათ შეფასებას, ზედამხედველობას გაუწევს პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერების ჟურნალის წარმოებას.

5. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელიც ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტს კლინიკური სწავლება უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა) უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნის პირობებს;

ბ) მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას;

გ) მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით სტუდენტთა სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ან/და სამუშაო გამოცდილების მქონე კვალიფიკური პერსონალი. შესაძლოა პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით მათ მიმართ წამოყენებული იყოს განსკუთრებული მოთხოვნები.



მუხლი 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი

1. კოლეჯში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „საგანმანათლებლო პროგრამა“) განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად.
3. აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:
 - ა) „დაგეგმე“ - წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გამოცხადებას (გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის);
 - ბ) „განახორციელე“ - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;
 - გ) „შეამოწმე“ - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას;
 - დ) „განავითარე“ - შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას, მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას (ან, ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში, არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმების შემუშავებას) და დაწესებულების სათანადო თანამშრომლისათვის წარდგენას მათზე რეაგირების მიზნით.
4. შეფასება ხორციელდება 1 წლის განმავლობაში ერთხელ, თუ პროგრამა საშუალოდ 1-წლიანია; თუ პროგრამა ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობისაა, შეფასება ხორციელდება ყოველ წელს.
5. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების პირობითი გრაფიკი, მოტანილია ქვემოთ:



N	საქმიანობა	1 წლის განმავლობაში											
		X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
1	წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა. შეფასების ინდიკატორების, მეთოდების ან სამუშაოთა გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში, მათი გამოცხადება (ანონსირება).	X											
2	განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისი მონაცემების შეგროვება		X	X	X	X	X	X	X				
3	საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება									X	X		
4	შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და პროგრამის ხელმძღვანელის/პერსონალისათვის გადაცემა											X	
5	პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიში გატარებული ღონისძიებების შესახებ												X

6. პროგრამების შეფასება ხორციელდება როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიუებით.

7. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს ხარისხის მართვის მენეჯერი.

8. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციის თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე.

9. კვლევების ანალიზს ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული



საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

10. ხარისხის მართვის მენეჯერი წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს.

12. პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში.

N	შეფასების კრიტერიუმი	შეფასება			შეფასებისას გამოყენებული მტკიცებულებები	შენიშვნა
		დიახ/აკმაყოფილებს	ნაწილობრივ/ნაწილობრივ აკმაყოფილებს	არა/არ აკმაყოფილებს		
1	პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით					
2	პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია					
3	საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების					



	ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოყენება სასწავლო პროცესში					
4	სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად					
5	პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად					
6	საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით					
7	უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის ორგანიზება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე					
8	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას					
9	პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორ ციელებელ დაწესებულებასთან ურთიერთთანამშრომლობა უზრუნველყოფილია					
10	პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური					



	საჭიროებები				
11	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით				
12	პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური				
13	პროგრამის ფარგლებში განხორციელებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაცია				
14	უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა				
15	პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.				

თავი III. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები

მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესი

1. ხარისხის მართვის მენეჯერი შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართებითურთ დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
3. დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი პაკეტი, პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ შევსებულ განაცხადთან და მის დანართებთან ერთად კოლეჯის მიერ იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, პროგრამის დამატების მიზნით.



4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ, კოლეჯი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა მიღება დამატებულ პროგრამაზე.

მუხლი 12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი

1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდულიზაცია შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს და პროგრამის ხელმძღვანელს.

3. დუალური მიდგომით გასახორციელებელი პროგრამის შემთხვევაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ საწარმოს, თუმცა ამავე პროგრამაში სხვისი ინიცირებით გასახორციელებელი ცვლილების შესახებ ასევე უნდა ეცნობოს საწარმოს, თანხმობის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს კოლეჯსა და საწარმოს შორის შეთანხმება.

4. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

5. კოლეჯის მიერ საავტორიზაციო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების (კრედიტების ცვლილების), ასევე სწავლის შედეგის მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და ცენტრს წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.

7. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული



სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეჩერება/გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას ხარისხის მართვის მენეჯერის არგუმენტირებული წარდგინების საფუძველზე, იღებს კოლეჯის დირექტორი.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

ბ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას;

გ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიული სტუდენტი წერილობით უარს განაცხადებს არსებულ მექანიზმებზე, კოლეჯი ახორციელებს შესაბამისი სერთიფიკატის/ცნობის გაცემას აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საფუძველზე.